# ტვინის კომპლექსური კვლევის პერსპექტივები საქართველოში

ბატონო დავით,

პირველი რიგში ნება მიბოძეთ წარმოგიდგეთ. მე გახლავართ ბერლინის სამედიცინო უნივერსიტეტის (Charité) პროფესორი, ნერვული ქსელის ფიზიოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი. ჩემი მეცნიერული ინტერესების სფერო მოიცავს თავის ტვინის ნორმალური და პათოლოგიური აქტივობის ნატიფი მექანიზმების კვლევას. ჩემს ლაბორატორიაში, ბერლინში, წლების განმავლობაში ტრადიციულად განათლებას იღებს და მეცნიერებაში პირველ ნაბიჯებს დგავს მრავალი ქართველი ახალგაზრდა მკვლევარი, რომლებიც წარმატებით იცავენ დიპლომსა თუ დისერტაციას და უბრუნდებიან სამშობლოს. ასევე მაქვს მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა ქართველ კოლეგებთან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების თუ სკოლის მოწყობის და საერთო სამეცნიერო პუბლიკაციების სახით. ჩვენი ძალისხმევით ბათუმის უნივერსიტეტში დაარსდა ნეირომეცნიერების კვლევითი ცენტრი, რომელსაც 2014 წლიდან ვხელმძღვანელობ საზოგადოებრივ საწყისებზე.

ახლა კი მინდა მოკლედ გაგაცნოთ ჩვენი პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ინტერდისციპლინარული მიდგომით ადამიანის თავის ტვინის კომპლექსურ კვლევას საქართველოში. პროექტი ითვალისწინებს ტვინის აქტივობის როგორც ფუნდამენტურ კვლევას, ასევე ტრანსლაციური მიდგომით მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას კლინიკაში. ეს უკანასკნელი გულისხმობს ტვინის დაავადების, კერძოდ, ეპილეფსიის მკურნალობის ახალი მეთოდების დანერგვას საქართველოში.

ეპილეფსია არის მძიმე და ფართოდ გავრცელებული ქრონიკული ნევროლოგიური დაავადება. ის წარმოადგენს მნიშვნელოვან სოციალურ და ეკონომიურ პრობლემას ევროპასა და მსოფლიოში. ამ დაავადებასთან დაკავშირებული სართო ხარჯები ევროპაში, ჯერ კიდევ 2001 წლის მონაცემებით, წლიურად 8 მილიარდ ევროს შეადგენდა. ეს ხარჯები ყოველწლიურად იზრდება, რაც ძირითადად მოსახლეობის ასაკობრივ ზრდასთან არის დაკავშირებული. ეს დაავადება გავლენას ახდენს პაციენტთა არა მარტო ცხოვრების ხარისხზე, არამედ საგრძნობლად (მინიმუმ 2-3-ჯერ) ზრდის მათ სიკვდილიანობის რისკსაც. ევროპაში ეპილეფსიით დაავადებულია 6 მილიონი ადამიანი, საქართველოში კი მათი რიცხვი სავარაუდოდ 40.000-ს შეადგენს. განსაკუთრებით პრობლემურია მედიკამენტების მიმართ ეპილეფსიის მდგრადი ანუ ფარმაკორეზისტენტული ფორმა. საქართველოში ფარმაკორეზისტენტული ფორმით დაავადებულია დაახლოებით 13.000 პაციენტი, ანუ საერთო რაოდენობის 1/3. ამ პაციენტების განკურნებისათვის აუცილებელია ქირურგიული ჩარევით ეპილეფსიური კერის ამოკვეთა. ეს შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხერხდა ეპილეფსიური კერის ლოკალიზაციის ზუსტი დადგენა. ამისათვის კი აუცილებელია ტვინის აქტივობის ქირურგიული, ანუ ინვაზიური გზით აღრიცხვა. სამწუხაროდ, დიაგნოსტიკის ასეთი მეთოდი არ არსებობს ამჟამად საქართველოში, რაც შეუძლებელს ხდის ფარმაკორეზისტენტული პაციენტების მკურნალობას. ჩვენი მიზანია ეს მეთოდი დავნერგოთ საქართველოში, რაც არსებითად გააუმჯობესებს პრექირურგიულ დიაგნოსტიკას და შექმნის აუცილებელ წინაპირობას პაციენტთა განკურნებისათვის.

პროექტის კლინიკური ნაწილის პარალელურად დაგეგმილია კომპლექსური ექსპერიმენტული კვლევის წარმართვა საქართველოში. სამკურნალო მიზნით ნეიროქირურგიული ჩარევისას ამოკვეთილი ადამიანის ტვინის ცოცხალი ქსოვილი, რომელიც ფუნდამენტური და კლინიკური კვლევებისათვის უნიკალურ მასალას წარმოადგენს, დღეს მსოფლიოს მხოლოდ მცირე რაოდენობის სამეცნიერო ცენტრებშია ხელმისაწვდომი (მათ შორის ბერლინში). პროექტის ექპერიმენტული ნაწილი ითვალისწინებს ამ უნიკალური მასალის, ადამიანის ტვინის

ამოკვეთილი ქსოვილის კომპლექსური მიდგომით შესწავლას საქართველოში და მოპოვებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას კლინიკაში.

პროექტის წარმატების აუცილებელი პირობაა მჭიდრო თანამშრომლობა ამ სფეროში მოღვაწე უცხოელ ექსპერტებთან, განსაკუთრებით მის საწყის ეტაპზე. ამ მიმართულებით უკვე გადავდგით პირველი ნაბიჯები. კერძოდ, 2017 წლის ივნისში გერმანიის განათლების და მეცნიერების სამინისტროს (BMBF) მიერ დაფინანსდა საერთო გერმანულ-ქართული გრანტი 'Etablierung prächirurgischer Epilepsiediagnostik in Georgien' (2017-2019 წწ, სამეცნიერო ხელმძღვანელი თ. გლოველი). გრანტის მიზანია გერმანელი და ქართველი სპეციალისტების მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით მოხდეს ეპილეფსიის პრექირურგიული დიაგნოსტიკის მკვეთრად გაუმჯობესება და მკურნალობის ახალი, ინვაზიური მეთოდის დანერგვა საქართველოში. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია საერთაშორისო კონფერენციების/ვორკშოპების მოწყობა საქართველოსა და გერმანიაში. პირველი ასეთი საერთაშორისო კონფერენცია მოეწყობა ამა წლის 24-28 ოქტომბერს საქართველოში, ქართულ-გერმანული წლის ფარგლებში. საერთაშორისო კონფერენციას 25-მდე ევროპის და საქართველოს წამყვანი მეცნიერი და კლინიცისტი დაესწრება.

ბატონო მინისტრო! დიდად მოხარული ვიქნები, თუ თქვენც დაინტრესდებით ამ ღონისძიებით, დროს გამონახავთ და პატივს დაგვდებთ თქვენი მობრძანებით საერთაშორისო კონფერენციის გახსნის ცერემონიაზე, 24 ოქტომბერს 10 საათზე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში. ეს იქნება დიდი პატივი და ჩვენი მოკრძალებული საქმიანობის დიდი დაფასება.

დაბოლოს, ასევე მოხარული ვიქნები, თუ მომეცემა თქვენთან მოკლე ხნით პირადად შეხვედრის საშუალება. თუ გამონახავთ დროს და მიმიღებთ თბილისში ჩემი მივლინების პერიოდში ამა წლის 22-დან 31 ივლისამდე ან ოქტომბერში, სიამოვნებით მოგახსენებთ უფრო დაწვრილებით ჩვენი გეგმების შესახებ.

წინასწარ გიხდით დიდ მადლობას პასუხისათვის!

პატივისცემით

თენგიზ გლოველი

Prof. Dr. Dr. h. c. Tengis Gloveli
Institute of Neurophysiology
Charité - Universitätsmedizin Berlin
Charitéplatz 1 (CCO Virchowweg 6)
10117 Berlin
Tel.: 30 450 528214; Fax.:30 450 7528214
Email: tengis.gloveli@charite.de
https://glovelilab.wordpress.com/

ბერლინი, 21.07.2017